

საბანკო მომსახურების პირობების დანართი N24 – „მეზღვურის ბარათის“ სტანდარტული პირობები

1. მეზღვურის ბარათი (შემდგომში - ბარათი) არის სადებეტო ბარათი, რომელზეც შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის ფულადი სახსრების განთავსება.

2. ბარათთან დაკავშირებული საკომისიოები:

საკომისიოს დასახელება	საკომისიოს მოცულობა
ბარათის წლიური საკომისიო	0 ლარი.
ანგარიშის მომსახურების საკომისიო	0%
თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის განმავლობაში:	საქართველოს ბანკის ბანკომატსა და სერვის-ცენტრში და საქართველოს სხვა ბანკის ბანკომატში - 0%. საზღვარგარეთის ბანკის ბანკომატში - 2%.
თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის შემდეგ:	ა) საქართველოს ბანკის/Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების სერვისცენტრში - 0.6% მინ. 0.5 ლარი; ბ) საქართველოს ბანკის ბანკომატში - 0.2% მინ. 0.2 ლარი; გ) Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების ბანკომატში - 0.5% მინ. 0.2 ლარი; დ) სხვა ბანკის სერვისცენტრში და ბანკომატში - 2% მინ. 3 აშშ დოლარი.

3. დადებით ნაშთზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი - 0%.

4. ბარათის მოქმედების პერიოდში, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს ბარათის პირობები (მათ შორის საკომისიოს ოდენობა და ა.შ.).

5. წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ურთიერთობის ფარგლებში, მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის წესების შესაბამისად.